

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული




გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწვრალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლება-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუნძული ქართველი



კოლეგი ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ტობად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 79

2020



მთ. რედაქტორი

გია გამთელიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, საქარ-
თველოს მწერალთა, მეცნიერთა
და საზოგადო მოღვაწეთა
საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „ანიშაული“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-886-1 (79 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის ამონდობა – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მოწოდებით – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაჟა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ტომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავაზეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიმყენ ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჭავებელასა და გალაკტიოზ ტაბიდის არემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმაცანის მედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მარის ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავაზეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონსილისტის, საქართველოს ეროვნული და ვაზის საერთაშორისო კაპადემია ვიცე-კონსილისტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისელის ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიგრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენი 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისელის კლასიკური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-სხად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი ვაჟა უბრისელი.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მღერალი) და ორი ვაქიობილი ზრუბაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მგრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰგავს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ყელასგან იაზონება მედვასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოეტმა იქროს საღმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონინდები სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოეტი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიგად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

ჭირასიტყვაობის მაგიერ

(დასასრული)

„ჯდა მტირალი ზყლისა პირსა“.

თურქ-სელჩუკების კოალიციურ ჯარსა და
დავით აღმაშენებლის ლაშქარს შორის გენერა-
ლური ბრძოლა დიდგორთან გაიმართა. საქარ-
თველოს ჯარი დავით აღმაშენებელმა დიდგორს
განალაგა და ბრძოლის დაწყების წინ მგზნება-
რე მოწოდებით მიმართა თავის ლაშქარს: „... მე-
ომარნო ქრისტესანო! თუ დგთის რჯულის დასა-
ცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცუ ეშ-
მაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკ-
საც ადვილად დავამარცხებთ.“ ეს ბრძოლა ქარ-
თველების გამარჯვებით დამთავრდა.

დიდგორის ველი – წინაპარათა სისხლით გა-
პოხილი და გათანგული. დიდგორი – ჩვენი ისტო-
რიული სიამაყე. დაუთორგუნველი და დაუმორჩი-



ლებელი, ვითარცა მის წიაღში ნაშობი ერი. დიდ-გორის მთებით აბიბინებულ მინდვრის სიახლო-ვეს, ალგეთის წყლის პირას ზის დევმუხლა პოეტი, მას ვეფხის ტყავის ნაცვლად ტანთ პოეზიის ჯავშანი უმშვენებს და ფიქრებს მისცემია.

„კოლხებს უფალი სწამდათ ოდიდან,
უცებ წარმართთა ხმები მოდიდდა.
ლოცვა-ვედრების დგება ალმური
მუხლმოდრეკილი მივალ
ჰყონდიდთან,
მსხვერპლად შეგწირავ –
„კოლხურ ფსალმუნებს.“

მუზების ღმერთს უსაზღვროდ ეამაყება, რომ იმ ბრძოლაში, რომელსაც საქართველოს სამეფოს გაერთიანება ედო საფუძვლად, უდიდესი წვლილი, მისმა პირდაპირმა წინაპარმა – მწიგნობარმა და მეფის გამზრდელმა – გიორგი ჰყონდიდელმა შეიტანა.

„აწ არ შველის სამისნო,
არც შატილი,
არც დელფოს,



და დღეს მიწა იბერის,
არის დიდი სამეფო,
სიკვდილის და სიბერის“.

1993 წ.

მეომარ მგოსანს ეამაყება – „იმ ოქროს ხანის – მეთორმეტის“ გახსენება და ეტირება დღე-
ვანდელი დალატის, გაუტანლობისა და უგულო-
ბის გამო. მისი ცრემლები დიდგორის ველს
უერთდება და...

„ახლა საქართველოში
არც დღეა და არც დამკ,
აი, მე რა მაწამებს...
მთვარეც არ ახამხამებს –
მზით გატრუსულ წამწამებს.“

1992წ.

გარინდულია დიდგორიც, მთები ერთმანეთს
ეჩურჩულებიან, მათი ფიქრთა დინება გადადის
მეთორმეტე საუკუნეში, საიდანაც ისმის ხმლე-
ბის უდრიალი, მეომართა ყიუინა, მიწაზე ეცემიან
აბჯარდამსხვრეული მეომრები. პრძოლის შუა-
გულში „ამირანივით“ ასვეტილა ხმალგაუტეხე-
ლი მეფე – აღმაშენებელი დავით. პოტი ნათლად
ხედავს ამ სურათს:



„თვალებში –
ქართვლის წარსულს ჩავცქერი:
მესმის ყიჟინა,

გმინვა, გნიასი,
ვით საზღაურის მტრისათვის მიგება
სიკვდილ-სიცოცხლის ჰარმონიაში
ხმალი საბრძოლოდ
ელვასავით მიიდრიკება.
დიდგორის მკერდზე სისხლთა
მნიხეველი,

ქართველები კვლავ დგანან პირველნი,
და საქართველო –
მათი წმინდა საკურთხეველი,
სავსეა თავით, – შესაწირველით.
დალლილი მთები დგანან უძრავად,
დამით ტანჯული მოლოდინი
წამებს დაითვლის,
და-აჲა! ბნელში, ქართლის
მტერთა შესამუსრავად,
მოდის სიკვიდლი! – მეფე დავითი.“

„ესაა პიროვნებისა და ისტორიის ახლებუ-
რი დანახვა. სიკვდილი თავის მატერიალურ გა-



მოხატულებაში არის ყოვლისმომსერელი ძალა
რომლის წინაშე ერთნაირად უსუსურია მეფეც
და მონაც, მდიდარიც და დარიბიც. მეფე დავი-
თის ასეთი პლასტიკური სახით წარმოჩენა ვაჟა
ეგრისელის საოცარ ნიჭიერებაზე მეტყველებს...“
(პროფ. მ. ბადრიაშვილი).

ასეთი დაინახა ვაჟა ეგრისელმა „მესიის
მახვილი“ და გაახსენდა დავითის მემატიანის
სიტყვები:

„...და საქმენი მისნი, რომლენი მან ქმნა და
აღასრულნა, რომელნი ჩვენ მცირედითა და ყოვ-
ლად კნინითა სიტყვითა წარმოგვიჩენიან, დიდთა
მათ და მოთხოვთად შეუძლებელია საქმეთა მის-
თაგან და ბრძენთაგან – ლომსა, და ფესვისაგან
მცირისა-ყოვლისა ქსოვილისა ვითარებას საცნა-
ურ ყოფად ვმეცადინეობთ ვითარცა აჩრდილისა-
გან – კაცსა, რომელნი ესე შეძლებულ არიან
ყოფად...“ ახლა ჭყონდიდელს გადასწვდა მისი
ფიქრი, რომ არა იგი, ეს ბრძოლაც არ იქნებოდა
ალბათ. არადა, დავითის ვაჟკაცობამ, მისმა
ბრძნულმა პოლიტიკამ და ქართველი ხალხის
თავგამეტებულმა ბრძოლამ გადაარჩინა XII საუ-
კუნის კავკასია. როგორც გამუსულმანებას, ისე



ფიზიკურად განადგურებას. გაჰყურებს პოეზიის აბჯარ ასხმული პოეტი დიდგორს და თავადაც უინიო ანოებულა.

„გავყურებ დიდგორს,
ქსანს და ასპინძას,
ქველი,
ამაყი და თავმომწონე
ჩემი კრწანისით და ბარაბდით
მეწვის
თვალები,
შენს დიდ წარსულში
მიღვენთილი სევდის
კოცონი,
მამულო! ჩემში არასოდეს
მიინავლება...“

„როგორც დავით აღმაშენებელი ომის დამთავრების შემდეგ დიდგორს, – ასე გადაჰყურებს ვაჟა ეგრისელი XX საუკუნის შემოქმედთა უზარმაზარ „ბრძოლის ველს“ (შოთა წიქარიძე, გენერალი) რადგა:

„ფრთები უფალმა უბოძა.
ფრენას დაჩვეულს ისედაც,



თვალებს კოლხეთში ახელდა
ყრმა,
ვისაც გუნდი მისდევდა,
მამაც ზღვარგადამლახველთა...“

დიდგორის ველზე განფენილ აჩრდილებს შორის ნათლად ხედავს მუზარადშემოხვეულ, ხმლით შუბლგახლებილ წინაპრებს, რომელთა ხსოვნა მის უზარმაზარ ტომეულებში დაიგანებენ სამარადისოდ...

„წარსულის, აწმყოსა და მომავლის კვარცხლბეგზე ამაყად შემდგარი პოეტი ვაჟა ეგრისელი სილამაზის, ცოდნის და რწმენის ერთიანობის სანიმუშო მაგალითი, დღეგრძელობის დირსი კაცია... დღეგრძელი იყავი, ბატონო ვაჟა!“
/ნოდარ ჭითანავა, პროფესორი/.

ზეციური და მიწიერი

ფშავი ზაფხულის სიმწვანით შემოსილა, ახლად ამოწვერილი ლურჯკაბა იები კეკლუცად დანანაობენ და ნაზად ელიცლიცებიან მათ ფეხ-ქვეშ გართხმულ კონდარს. ქედები თოვლიან კალთებს იბერტყავენ...



ზეციურ სივრცეში გოლიათი, ნაბადმოხუ-
რული ღმერთ-კავი გადმომდგარა და გოგორაზდ
დაპყურებს საკუთარი ფანტაზიით გაიდიალუ-
ბულ ბუნების საოცრებებს. იქეთ კი, დასავლე-
თით-ლეგენდებით დახუნძლულ კოლხურ მიწაზე
მყარად დგას – „სიხარულის თვალი მოხეტე“.
პოეტი ფრთებშესხმული შეჰქურებს გაჩახახახე-
ბულ სივრცეს, სადაც უზარმაზარ მოკიაფე ვარ-
სკვლავად ილანდება ვაჟა-ფშაველა.

თვალმოუშორებლად უყურებს ზეციურ ვა-
ჟა-ფშაველას, ჯერჯერობით მიწიერი ვაჟა ეგრი-
სელი.

„...ვაჟა ეგრისელის საით ჩვენ მეორე ვაჟა-
ფშაველა გვყავს XXI საუკუნეში. მრავალი წიგნი
მიეძღვნება მომავალშიც მისი პოეტური სამყაროს
შესწავლას, რადგან მეტაფორის – ამ უპირველე-
სი პოეტური კომპონენტის გარეზე ლექსი, პოე-
ზია არ იქნებოდა მიმზიდველი და ამაღლებული
ადამიანური გრძნობებისა. ვაჟა ეგრისელი პოე-
ტურ მეტფორათა, ანუ პოეზიის დიდოასტატია...“
/ჯიბო ლომაშვილი, ვაჯა-ფშაველას საზოგადოე-
ბის თავმჯდომარე, აკადემიკოსი/.



„მეძახის შენი ცად და სინათლე,
რა სანატრელი,
რა საამო
ჟამი მოვიდა,
მტვრევის ხმა მესმის საკუთარი
სულის და ძვალის
და ამოვდივარ მიწიდან და
სიმყუდროვიდან...
მე ამოვდივარ...
ამოვდივარ
ბალაცის ძალით.“

ვიმეორებ, ჯერჯერობით მიწიერი ღმეო-კა-
ცი მორცხვად უყურებს ზეციდან გადმომდგარ
ნაბდიან მგოსანს.
ზეციური ღმერთ-კაცი დიმილს უგზავნის
სეხნია ვაჟა ეგრისელს და ჯაჭვს აძლევს:

„დვთის მგმობელს, აი, ეს ჯაჭვი
ხელ-ფეხზე ედვას, მანამდე –
კეთილის მქმნელი იგვემოს,
მით არ ემდუროს, სანამდე.“

მიწიერი მიხვდა, რომ ზეციურმა მისი სი-
მაღლე იგრნო და თავის თანასწორად დალანდა,
ხელი ასწია და დაიქუხა:

„ფრთების ფათქუნი მესმის
სიგრცეთა –
ცა ვარსკვლავებმა
გადაიქროლეს –
ოქროს ეტლების ცივი ციაგით.
მწუხარში დამეძებს
სიხარულს
თვალი მოხეტე.
და მოწყალებით, ღმერთო,
მომხედე –
ქართულ მიწაზე
დგება ჩემი ხმის –
– განთიადი.“

„...მწერლები და მეცნიერები ვაჟა ეგრისე-
ლის სახელის „ვაჟას“ გამო კი არ „უნათესავე-
ბენ“ დიდ ვაჟა-ფშაველას, არამედ ერთნაირი სუ-
ლიერი და პოეტური სამყაროსთვის. ვაჟა-ფშავე-
ლა ლუკა რაზიკაშვილად რომ „დარჩენილიყო.“
მაშინ აკადემიკოსი შალვა მჭედლიშვილი თავის



მონოგრაფიაში: „ტრადიციულისა და ნოვატორულის გაგებისათვის ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში“, ასე დაწერდა: „ვაჟა ეგრისელი სახისმეტყველებაში ყველაზე მეტად ენათესავება მეტაფორების გვიგვინოსან მეფეს – ლუკა რაზიკაშვილს, ბრწყინვალე პოეტებს: გრიგოლ ორბელიანს, გიორგი ლეონიძეს და რუს პოეტს სერგეი ესენინს..“

/ეთერ არაბული, ფილოლოგი, ლოგოპედი/.

ზეციურმა ვაჟა-ფშაველამ ხელი გაუწოდა ვაჟა ეგრისელს.

„... ვაჟა ეგრისელის მთელი შემოქმედება – ვაჟა ფშაველასეული მაღალ პოეტური, მეტაფორული აზროვნების ნიმუშია! (ანა ქველიძე, ლიტერატორი).

ორბებმა ფრთები გაატყლაშუნეს და ცაში აიჭრნენ... მიწიერმა ღმერთ-კაცმა, ზეციური ღმერთ-კაცის ხმით დაამდერა:

– „შენს მდერას ჩონგურის ხმაზე
რაღა სამოთხვე სჭირია?!“

მიწიერმა და ზეციურმა ქართველმა მგოსნებმა კაცობრიობის ყველაზე მტანჯველ კითხ-



ვას გასცეს პასუხი. მათ სიცოცხლეზე შეყვარებულის თვალით შეხედეს უღმერთო და უსწორმასწორო წუთისოფელს და იმავე სიცოცხლის სახელით მოითხოვეს დათრგუნვა ყველა უსამართლობისა“ ... მეცხრამეტე საუკუნეში მთას მოევლინა სწორუპოვარი ტრუბადური – ვაჟა ფშაველა. მეოცეში ზღვა დალაშქრა უბადლო ორფეოსმა – ვაჟა ეგრისელმა, რომელმაც ბობოქარი სტიქია ფეხის წვერებზე დააყენა და ხმელეთის იქით გადაახედა...“

მთები ფშავიდან, ზღვა – კი კოლხეთიდან სიყვარულის სუნთქვას უგზავნიდნენ მათ გამაօდეალაბელ ღმერთ-კაცებს....

უცხა ნათძვამი

გაშა ებრისელის ახალი წიგნის
წამიერი გადაკითხვისას:

საქართველოს ხომ რამდენი ხანია, პოეტა ქვეყანას უწოდებენ. ყოველ შემთვევაში, საქართველო სავსეა „სემიპოეტებით“ მაინც. semi-poeta – „ნახევარ პოეტი“ – დიდმა პოეტმა პორაციუსმა რომ თქვა, ორი ათასი წლის წინათ.



ხოლო, „პოეტი სრული“ – საქართველოში
მოიძებნება ოდენ თითზე ჩამოსათვლელი, მათ
შორისაა – **ვაჟა ეგრისელი.**

ამაში კვლავაც დამარწმუნა მისმა ახალმ,
ტანოვანმა ლექსთა კორპუსმა, შესაფერისად და
შესატყვისად მქუსარე სახელით: „იქმენ ნათე-
ლი!“ (1993 წ.).

ასეთი წიგნი – თვითონ ავტორის სიტყვები
რომ მოვიშველიოთ ისტორიის ვრცელ მინდორ-
ზე არასოდეს არ დადუმდება...

ვაჟა ეგრისელი – ჭეშმარიტად, თანამედრო-
ვე დიდი ქართველი პოეტია...“

**ლევან სანიძიძე
ქრისტეშობითგან
1993 წლის 22 ივლისი.**

ნათელა ბოხელაშვილი
ნაწყვეტი წიგნიდან – კოლხი პოსეიდონი
კოლხეურ პეგასზე ამხედრებული პოეტი
გაგრძელება შემდეგ ტომში



აღმა ანუ საოცრებათა სამყაროში

ადამიანის სულიერი სამყარო უკიდეგანოა, ასევე უსაზღვროა მისი შემოქმედებითი ლტოლვა უსასრულობისკენ.

როგორც გენიოსი ვაჟა-ფშაველა ამბობდა – დედამიწაზე ორი კაციც რომ დარჩეს, პოეზია მაინც იარსებებსო, რადგან პოეზია ადამიანის გრძნობის გამოხატვააო.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დაუჯერებლადაც კი მიმაჩნია პოეტ ვაჟა უგრისელის მართლაც უსაზღვრო და უკიდეგანო პოეტური შემოქმედება, რასაც მრავალი წესი და გამოკვლევა მიეძღვნა. ვიქმორებ, მართლაც რომ უსაზღვროა. ვინც გაეცნობა ვაჟა უგრისელის პოეზიას, ჭეშმარიტად დაწმუნდება. იმაში, რომ უფალს და არსო გამრიგეს მისთვის უბოძებია – ნიჭი მგალობლისა.

ვაჟა უგრისელის უბადლო პოეზიას ათასობით თაყვანისმცემელი და შემფასებელი ჰყავდა და დღესაც ჰყავს, როგორც ჩვენში, ასევე ჩვენს საზღვრებს გარეთ, მაგრამ განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეა აფხაზეთიდან დევნილი მწერლისა და დრამატურგის (აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის მწერალ-აკადემიკოსის), მრავა-



ლი რომანისა და პიესის ავტორის, მსოფლიოს (ბელგია) საერთაშორისო ფესტივალის – გრან-პრის მფლობელის, ქალბატონ ტატო დიოსკურულის წინამდებარე წიგნმა – „აღქმა“ მზერას სტურცნის ვაჟა ეგრისელის შემოქმედებას, სრულიად ახალი კუთხით აღიქვამს დიდ პოეზიას.

ვაჟა ეგრისელის პოეზიას პოეტურ აღქმაში მწერალი ალაპარაკებს მთელ სამყაროს: მზებ, მოვარეს, ვარსკვლავებს, უცხო პლანეტებს, ზღვას და ოკეანეს, მთებს და მწვერვალებს, მიწაზე – ნადირს, ცაში – ფრინველს. საუკუნეებს და ათას-წლეულებს. ამეტყველებულია ყველაფერი – ჩვენი გარემომცველიცა და საკუთარ გრძნობა-გონებაში წარმოჩენილი, რითაც შექმნა ახალი, თვალით უხილავი სახეები მოქმედი პირებისა. უჩვეულო მაინც ისაა, რომ ნაწარმოები აგებულია პოეტის სხვადასხვა დროს გადაღებული სურათების აღქმით. ადვილი შესაძლებელია მწერლობაში ეს მეთოდი არც ისე ხშირი მოვლენა იყოს... და ყოველივე ამან შესაძლებელია მწერლობაში ეს მეთოდი არც ისე ხშირი მოვლენა იყოს... და ყოველივე ამან შესაძლებელია. რიგი სადაც საკითხები წარმოშვას. ცამ მოულონდელად დაიქუხოს, მშვიდი ზღვა უცებ აღელდეს, გასარკულ ცაზე ელვა



გაკრთეს, მაგრამ ეს ისეთივე საინტერესო იქნება, როგორც პოეტის კატაკლიზმებით სავსე ცხოვრებისული ისტორიის ალაპარაკება ბუნებასთან – სიცოცხლის სხვადასხვა ეტაპზე, ნაწარმოები თავისებურია, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით, ვითარც ვაჟა ეგრისელის პოეზია, რომელიც სისხლხორცეულად შენივთებულია ცხოვრების მძიმე დარჯაკში გამოვლილ ქართულ სულთან და საქართველოსთან.

... ქართული პოეზია ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში ამიტომ მეტად მნელია სიტყვის თქმა და მით უფრო მისი რეფორმატორობა.

თითქოს შეუძლებელიც იყო პოეზიაში დღემდე უცნობი და ორიგინალური წვლილის შეტანა, მაგრამ ჩვენდა გასახარად, გამოჩნდა სრულიად უნიკალური შემოქმედი პოეტი – ვაჟა ეგრისელი, რომელმაც თავისი ლექსებით, ჩემი აზრით, გადატრიალება მოახდინა ქართული ლექსის ისტორიაში.

ვაჟა ეგრისელის პოეტური სამყარო ახალ ეტაპს წარმოადგენს ქართული ლექსის განვითარებაში. მომხიბვლელია მისი „კოლხური ფსალმუნები“ და საერთოდ ყველა ლექსი, რომელშიც ასახულია, უპირველეს ყოვლისა, კოლხეთის უძ-



ველესი ისტორია. პოეტმა თავისი არაორდინალური ლექსებით ჭეშმარიტი ჰიმნი უძღვნა ზღვას და კოლხეთს – ე. ი. საქართველოს.

ვაჟა ეგრისელის სახით ჩვენ ეორე ვაჟაფშაველა გვყავს და XXI საუკუნეში მრავალი წიგნი მიეძღვნა მისი პოეტური სამყაროს შესწავლას, რადგან მეტაფორის, – ამ უპირველესი პოეტური კომპონენტის გარეშე ლექსი, პოეზია არ იქნებოდა მიმზიდველი და ამამაღლებელი ადამიანური გრძნობებისა. ვაჟა ეგრისელი პოეტურ მეტაფორათა ანუ პოეზიის დიდოსტატია.


სწორედ ასეთმა პოეზიამ შთააგონა ქალბატონ ტატა დიოსკურელს შეექმნა წინამდებარე წიგნი – „აღქმა ანუ საოცრებათა სამყაროში“, რომელიც თავისებური ცდადა ვაჟა ეგრისელის პოროვნების და შემოქმედების ახალი კუთხით წარმოჩენისა.

პიგო ლომაშვილი

ვაჟა ფშაველას საზოგადოების თავმჯდომარე, აკადემიკოსი.

თაჭა ლიოსპურელი

ნაწყვეტი წიგნიდან – აღქმა ანუ
საოცრებათა სამყაროში /ვაჟა-ეგრისელი/



მზე და მოვარე

თვალებდარდიანი მოვარე,
სიჩუმეში მდგარი კენტად,
რომ გაჰყურებს ცათა
ბაღებს,
ლამის კარებს მოიკეტავს,
ცისკრისას კი მზე
შეაღებს.

1973

გამოცხადება

დამე ვერ დააწყნარებს,
შენს ფიქრის ცას ამბობარს,
იწვიმებს და
ისეტყვებს...
და სანამ თვალს არ მოკრავს, –
ოთანე ღვთისმეტყველს.

1967



ეპლესიასტე და გილგამეში

გაუკვდავების წყაროს ძებნაში,
ალბათ იცვალა უცებ
ამინდი

და...

დარჩენილნი მზიან ღამეში,
წუხან საწუთროს ამაოებას
ეპლესიასტე და

გილგამეში.

1964



* * *

სულისწმინდა და უფლის ნათელი,
ამოდიოდა ღრუბლის
ხაროდან.

მზის ხმა ისმოდა მთვარის კოცხიდან,
ვიდაც იდგა და უხაროდა:
არყოფნა ყოფნის
გულს რომ კოცნიდა.

2004



* * *

ცეცხლმოდებული,
აღმოსავლიდან, –
დასავლეთისკენ ქარები რომ მიჰქრის,
მზე,

ხოხობს მოჰვავს ადრე
აფრენილს.

ამ სიცოცხლის და
ამ ცრემლებს იქით,
უფლის სამოთხედ ჩანს –

კველაფერი.

2005



* * *

ის მთაა —

კავებასიონის,

ა, ეს კი ზეგსის ხვამლია...

ფაზისს ნისლად რომ ამოდის,

ჰეფესტოს სამჭედლოს კვამლია:

— ამირანის მისაჯაჭვად

ჯაჭვს კვერავს!!!

1968



* * *

მამლები ყივილის ჯოხებით
ბერტყავენ დამის ხეს...

ირხევა ხე-რხეული.
მთვარე კი ბორკილგაყრილია.
ცისკრის ვარსკვლავი –
საყვირია,
სულიშმიდის ნათელში შეხვეული.

1968



მოღა აღსაშვეა ცოცხალი გვამვაით

სიკვდილი ჩუმად გვითვალთვალებს,
როგორც ობობა,
რადგან სიცოცხლის ბადეში გავებით.
ზე – მიიკვამლება –
მოკვდავთა ვედრება.
მიწა აღსავსე ცოცხალი გვამებით,
ზეცა კი ვარსკვლავთა –
ცხედრებით.

1993



* * *

სინათლის წვეთი, ვით ევამ გაშლი
იგემა ცამ და
წამს აეხილა თვალი,
მოუჩანს მთვარე ვით იარა.
მერე მახათას
თბილისის დილამ,
ოქროსთმიანი მზე (ჭაბუკი)
იმშობიარა.

1962



* * *

ირევიან ფიქრები,
სივრცეები შებინდდა;
დღეებს არ ემეტები;
ხელებს მიტომ გიქნევენ –
ვარსკვლავების მთები და
ჰურკულების სვეტები.

1965



პენოზები

ათასწლეულების მერე,
პონტოს სანაპიროზე,
ცვივა ზამთრის ჭირხლივით:
მეეტლე –
პენოზე*,
ულაყების ჭიხვინი.

1974

* პენოზები – პონტოს სანაპიროზე მოსახლე უძველესი კოლხური (ქართველური) ტომი.



* * *

ციგს და მარტოსულს მიმჯდარს
სიჩუქეში,
მუხლზე უწყვია მნათთა კლავიშები
და თაგს იწონებს მთვარის
როიალი.

ყოფნას მიჯაჭვულნი,
მალე აიშვებენ –
შენი ღამეები ცაში მორიალე.

1968



* * *

შავი ზღვა შავს რატომ იცვამს,
თუკი ერთი სულიერიც,
მისი ხელით არ დამხრჩალა?!
ან ეს ცოფიანი ქარი,
ნაპირისკენ რომ იჩქარის,
ხმელზე რად ყრის ზეირთთა
ჩალას?!

1969



გლობის ფეხშიშველა პიჭი

ახლა,

როცა წარსულიდან,
ვისმენ ჭრიჭინების ჭრიჭინს,
მაგონდება ჩემი თავი:
სოფლის გზაზე მიმავალი –
გლეხის ფეხშიშველა ბიჭი.

2003



* * *

ადამის ძე გაჩენიდან,
შესციცინებს,
როგორც იმედს
და მზედ – ცის ფალოსი,
რომლითაც ის აფეხმდიმებს
გიწას –
დგთისგან დალოცვილს.

1960



მითი და სინამდვილე

აღსავლიდან –
დასავლით,
მტრის სპას კოლხეთს შემოჭრილს,
მათ დამართეს მერეთი,*
და მერე იმ „ქვეყანას“
უწოდეს იმერეთი.

1959

* მერეთი (მეგრ.) საოცრება, სასწაული.



* * *

ისე შემოუსდნენ მთვარეს ვარსკვლავები,
თითქოს უსამანო

ნატვრა აისრულეს.

ცა წეს სილაჟვარდეს –

ელგით დაისრული.

ჩუმი ფრთათარხევა

ისმის სერაფიმთა,

იღუმალებაა აპოკალიფსური.*

1962

* აპოკალიფსური (ბერძ.) საიდუმლოებით მოცული
რიცხვი.



* * *

გაცთა ცხოვრება ისე,
ვითა პირამიდები,
ნაშენები არის ლოდებით ,
და არა ქვიშანარევ ალიზით.
მიტომ მოკვდავნი იმედის ხეს
აღარ ახმობენ.

დრო კი უცდომლად ყოველივეს
აანალიზებს
და დღე-ნიადაგ იმუქრება
დაბლა დამხობით.

1996



სხვათა შორის

სამხრეთიდან „მმაღ“ მოსულმა,
კოლხეთს გული შუა გაუპო,
მერე სისხლი და ცრემლი
ერთმანეთს გაურია...
და შემდგომ მას უწოდეს
მუსხი არა,
გურია.

1978



* * *

ხუთი ათასწლეულის

იქით,

უფლის ქვეყანას,

მეუფობდა ან მარგ;*

კოლხეთია სიცოცხლის

აკვანიც და

სამარეც.

1992

* ან მარგ – ცის კაცი (5185-5120)



* * *

ქუხილის ხმით ღრუბლებმა,
ზეცა დააორსულეს...
ჩვენ ნეტავ რა გვაოცებს?!
ქაოსიდან მოსულნი,
გუერთდებით ქაოსებს.

1958



ქალდეა

არა ჩანს ჰელე...

და ჰელესპონტი,*
იხსენებს აკვანებს აქ დარწეულთა.

ცა —

ვარსკვლავებით დაწერილი
საქაღალდეა.

უხსოვან დროში,
სამრეკლოზე ათასწლეულთა,

კოლხურ ზარებს რეკს
ბაბილონიც,

ხეთიც,
ქალდეაც.

1963

* ჰელესპონტი — შავი ზღვა



უფლის ხელით არის ნაგები

მთვარის სხივებით პირგაბადრულნი,
ჩანან ღრუბლები
მკრთალ წახნაგებით,
და არვინ იცის,
მათ წამები რას არგუნებენ.

ცა –
ღამეული,
უფლის ხელით არის ნაგები
ვარსკვლავებით –
მზის ქურაში გამომწვარი
აგურებით.

1966

პახეთში

მერიქიფე ბარძიმს მაწვდის,
ვერძალები ღვინოს ისევ....
და ცა, ხელში მთვარის ყანწით,
რომ დაჟურებს საქართველოს,
კვლავ მაგონებს დიონისეს.*

1988

* დიონისე – მევენახეობისა და მეღვინეობის მფარველი
ღვთაება.



0სეპ სამეგრელოს დაჭაშვილა!!!

შურით და მტრობით სამეგრელო
შემოღობეს და
სიძულვილის ცა წამოაცვეს
თავზე სარებად

და დღე ყოველი გაველურდა და
გატყიურდა:

მხოლოდ კაცთა კვლა!!!
არც ლოცვები,
არც აღსარება,
თითქოს კავშირი შეწყდა ლვთიურთან.

1993



* * *

სოფლის შარაზე თავაწეული,

მიმოდის ქარი,

როგორც ვასალი.

ორდობეში თავს იკლავს ჭრიჭინი.

და მოვარეს, როგორც კასრის სალტეს,

სადღაც დასავლით,

ცა მიაგორებს გლეხის ბიჭივით.

1958



* * *

თოვფის ხმაზე ციცქნა ელვა,
უცებ გახევს ნისლის მარლას
და დაადებს მთებს –

სალბუნად.¹

ქისტეს მიჰყავთ მკვდარი დარლა,
ცაში აღის ხმა

ფსალმუნის.²

1977

¹ სალბუნი – მალამო.

² ფსალმუნი – (ბერძ.) სახოტბო საგადობელო.



* * *

სიცოცხლე არა,
სიკვდილია მარადიული,
მისი „საგმირო“ ვიცით საქმენი.
დრო მისია და არასოდეს აღარ
ბერდება.

მოვა ჩვენს კართან,
დაიჩოქებს, როგორც აქლემი,
არარას გვეტყვის და...
თვალებში ჩაგვაშტერდება.

2003



* * *

ორმოცდაათი წლის იქიდან
ვისმენ სტკენის ხმას
და შეცხადებას ინდაურების.
ვჭრებ: უდელშებმულს
ნიშას,
ნიკორას.
და... მამაჩემის ძველი ურემი,
ჩემი ბავშვობის
სოფლის გზაზე
ისევ მიგორავს.

1991



* * *

გარსეპლავები არ ბრწყინავს,
ალბათ,

ვერსად პოვებ მზეს,
სადღაც ხსოვნა იელვებს
და შენ პელოპონესზე¹
ხედავ არკადიელებს.²

1963

¹ პელოპონესი – სამხრეთ საბერძნეთი.

² არკადიელები – კოლხთა იმდროინდელი წინაპრები, როცა მთვარე არც კი იყო დაბადებული. აპოლონიოს როდოსელი (ბერძენი პოეტი ძვ. წ. აღ. III ს.).

* * *

რომ ყვარებოდა ღერი ბალახის,

არსთაგამრიგემ ასე არგუნა.

(ზოგი ცოდნეობს...

ზოგი ყვარყვარობს)

ვაჟას ფანდურმა სადღაც მოებში

„ბაიჩხაკუნა“

და გაიგონა მოელმა სამყარომ.

1961



დგას თებერვალი

დაუკითხავად ჩაუვლიათ მზეს და
მაისებს,

ჩემი ცხოვრების დგას თებერვალი.

ქათქათა ღრუბლებს დასდებიათ
ფერი იოდის.

და ქედებს მიღმა,

დათოვლილი მოჩანს მწვერვალი –

სადაც ამაყად ჩემული ლანდი მიმოდის.


2004



* * *

აღარ ეგონა მამლის ყივილი,
გათენების ცას თუ
დაცრიცავდა
და გაატანდა ტალღებს ლიახვის.
მერე მოიები –
გუნდი ციცართა,
გადაუფრენდა ლამეს კრიახით.

1984



ზამთარი სხვიტორში

(ვარიანტი)

ცვივა და ცვივა ფანტეჭი –
თეთრ ზღაპარს ყვება
თეთრი ცა,
ყვება და აღარ ამთავრებს.
კვლავ ბევრი დარჩა უთქმეჭი.
დგას აკაკივით,
ზამთარი,
თოვლისგან ნაჩუქურომევი.

1959



* * *

დღისით ვედარ ისვენებს,
დამით ვედარ იძინებს
და მომავლის კარს უღებ:
ბექირებს¹ და
ბიძირებს²,
კაბირებს³ და კარდუღებს.⁴

1973

^{1,2,3,4} – ძველი კოლხური (პროტოქართველური) ტომები.



* * *

რომ გაავლო ქარმა მუსრი,
ზღვა დრუბლებმა მიატოვეს,
მთებს ესტუმრნენ –
მკვიდრად ნაგებს.
მთვარე – არქივარიუსი,
გარსკვლავების ოქორს ტომებს,
ცის თაროზე პკლავ ალაგებს.

1969



* * *

დასავლეთიდან –
აღმოსავლეთით,
უკან მოსდევდა მნათთა
მდევარი,
ზღვა გადასცურეს...
ცა გადაბეჭდეს...
მერე დღემ უცებ ამოსწია
მზის სატეგარი
და მოკლა ღამე,
ვით კაენმა მოკლა აბელი.

1968



ნიკო ვიროსმანაშვილს

შენს განძს აღარ იცავდა,
ცეცხლის ფრქვევა დრაკონთა,¹
ცის და მიწის ფერები
ერთმანეთში აზავვ.
სიამაყე ქართული დროშასავით
დაგქონდა —
ფუნჯის ქართველ აზავერს.²

1977

¹ დრაკონი (ბერძ.) — გველეშაპი.

² აზავერი — ტვირთის ზურგით მზიდავი ხართ ან კამერი.



ახალგზა მავრ დაგით

აღარ შერჩება თავი,
გინც საქართველოს ურქენს,
ამბობდა მეფე დავით,
რომ გაეგონათ თათრებს,
სპარსელებსა და თურქებს,
შაჰებს,
სულთნებს და
ფაშებს.

1989



0სეპ არგადიელები

მილიონი წლის იქიდან,
ქაოსიდან ამოსული —
კაცთა მოდგმის ხმა იელვებს.
და იმ ხმაში —
ჩემს წინაპარს,
გცნობ მე არკადიელებს.*

1964

* არკადიელები — კოლხთა შოორეული წინაპრები.



გარსპოლავებს პირაპს

აუწევიათ საყელო ღრუბლებს,
ცას მოვარე უჩანს
გალუქულ ფრჩხილად.
გაკრთება ელვა,
მილეული,
ვით თითი ცერა.

სადღაც ბდავის და არა ჩანს დილა,
დამე –
მჭედელი,
მზის ქურაში
გარსკვლავებს კვერავს.

1968



საცილებს და სპოტინებს

მინდორზე არ დავიწყების,
ხსოვნა მუდამ არ იძოვებს,
გეგო, რაც რომ ითმინე.
აშ აღვიძებ: ჰალიძონებს,¹
სანტიებს² და
სკვითინებს.³

1970

^{1,2,3} – უძველესი ქოდნური (ქართველური) ტომები.



* * *

ჯვარცმის შიში,
უშიშარს,
მუდამ მდევდა ფარული,
შენსკენ მაინც მოგქროდი...
ქრისტეს კვნესა მესმოდა
და სამჭვალთა წკარუნი,
სოშორიდან გოლგოთის.

1965



ქასჩიპსა და ქალღეველებს

შავ ზღვას ჯერ არ ჰქონია პონტო,
არ ცალპა,
არც ჰელესპონტი.

ოქროსფერი ადევთ ველებს...
და ცა პირველ ნათელს
აფენს:

ქასქებსა¹ და ქალდეველებს.²

1964

^{1,2} – უძველესი კოლხური (ქართველური) ტომები.



* * *

ზღაპრიდან თუ მითიდან,
საიდანდაც ყრუდ ატანს:
— მაქვს თოკი გასანთლული
მათვის!!!

უვლის ქრუანტლად
მოებს,
ხმა ქრისტეს ნათლულის.

1967



არც აპე ჩანს, არც ან მარე

უძველესი კოლხეთიდან,

ჩემი დიდი წინაპრების,

არც ხმა ისმის,

არც ძახილი.

არც აკე¹ ჩანს, არც ან მარე².

ცა – ღიაა სამარხივით

და შიგ სულებს ასამარებს.

1988

^{1,2} – უძველესი კოლხეთის მეფეები.



ხშოშაპათი

დიდ ხუთშაბათს ლოცვისფერს,
ქრისტეს ჯვარცმის წინადაღეს,
ნორჩი დილა მზიანი,
ფერს კარგავს და ბნელდება.
მთიდან კავკასიონის,
რომ მოისმის ზრიალი,
ალბათ ჯაჭვი მრთელდება.

1991



* * *

ზღვით და ხმელეთით კოლხები,
ჟამს მიპკაფავდნენ
უსიერს,
(უფლის დაცვაც კი ინდომებს.*)
თვალთა ისარი უწიეს –
ხატაეთსა და
ინდოეთს.

1966

* იგულისხმება – ბაბილონის გოდოლის ამგები კოლხი
ქეფე ან მარე (5185-5120).



800 ასტროლოგი

პარას ჭალაში, როგორც ავაზა,
მოიპარება მწუხრი ფარული.
მთვარე გამოდის ცის მდვიმედან,
გით ასტროლოგი.
და იწერება ვარსკვლავების
ასომთავრლით
ჩემი ქართული დამის პროლოგი.

1997



ოდი

ლეგენდების ბილიკებით
და მითოსის გზებით მოდის –
ხმა კოლხური –

(კვლავ ქართული)
შოორეული.
წარმართული,
„ოდოიასა“ და ოდის.*

1968

* ოდი – კოლხთა (ქართველთა) წინაქრისტიანული
დფთაება.



* * *

ღრუბლები –

დამის ჭირისუფლები,
მიასვენებენ მთვარის ბალდახინს.

ცა –

ვარსკვლავების ცრემლით ირწყება.
შენ უსამანო სივრცეს გასძახი:
– სადაც თავდება დედამიწა,
მე იქ ვიწყები.

1991



ALBERTSU

ისტორიის პეგასი

მხოლოდ მისია,

ჰელიოსური,

მიწიდან არა, ციდან მოსული

და სხვას გერავის ვერ მივამსგავსე.

მისი სიმარლე,

სიდიადე და სისადავე

და ვერ ჩაგიგდე ხელში სადავე –

ძველი კოლხეთის ისოტირიის

მფრინავ პეგასი.*

1962

* პეგასი – ჯადოსნური რაში.



ფუთი

ძველ ამბავთა ჩხრება არ გსურს,
მაინც უხმობ მიქელ ასურს,¹
იქნებ იმათ გულზე მოხდეს,
ვინც სიმართლეს ბნელით ფუთნის,
იყო დრო,
როს ზღაპრულ კოლხეთს
„დედაქალაქობდა“ ფუთი.²

¹ მიქელ ასური – ისტორიკოსი (XIII ს.).

² ფუთი (მეგრ.) – ფოთი.



* * *

გაზაფხული მიიღია,
და ძვირფასო შენ არ იცი,
მე იქ ვარ და
აქ არა!
დიად დახვდა სულს –
კარი ციხს,
ნაზამთრალს და
ნაქარალს.

1978



იქედვები

სოროებში სისინებენ,
ადეევთ შიშის ცხრაკლიტული
და რჯული აქვთ იქედნური:^{*}
სურთ გაიგონ ასპიტური,
აქეთური,
იქეთური.

1981

* იქედნე – გველი, ასპიტი, ჯარბი.



* * *

ელიამ კვლავ მეხი სტყორცნა,
მთვარის საგსე
თეთრ ამოფარას.

ჯერ იქ,
მერე აქ იელვა.
დამემ დრუბლის ანაფორა,
მოისხა,
ვით არქიელმა.*

1963

* არქიელი (ბერძ.) – მღვდელთმთაგარი, ეპისკოპოსი



* * *

ოცდაცამეტი საუკუნეა,
სინამდვილე თუ
ძველი ლეგენდა:
ავდედინაცვალს გამოქცეულ ფრიქსეს,¹
ჰელესი,²
ზღვასა და კოლხეთს,
კით შეაბერდა,
დალატის მწარე ცრემლით
შელესილს.

1969

^{1,2} ფრიქსე, ჰელე – ათა მანდატისა და ნეფელეს ქალ-გაჟი.



800 ქონდაქარი

სიცივეში მდგარ ხეებს ტოტები

ემტვრევათ ისე,

როგორც ნეკნები.

ათჯერ ეცვლებათ დღეებს გუნება,

და თმაჭალარა ქარი დეკემბრის,

ვით ქონდაქარი,

შიშველ ბუჩქებს ებდლარმუნება.

1979



ჭიროსი და კაღმოსი

სიტყვა ღმერთივით ზეცისკენ,
მუდამ იდუმალ ილტვოდა,
ვით სვეტი მარმარილოსი.
და მიტომ მოკლა კაღმოსმა,¹
დიდი პელაზგი ლინოსი.²

¹ კაღმოსი – ფინიკურ ენაზე დაყრდნობით ელინელთა დამწერლობის შემქმენლი.

² ლინოსი – პელაზგური (კოლხური) დამწერლობის შემქმნელი.



* * *

სიმყუდროვეში ჩამავალ მზეს –

ზღვად ჩაეკრიფა

სულები,

აქ ყოფნის მოიაფეთა,

ცად „სულთათანად“ ადიოდა

ზფირთთა გალობა,

რომელშიც მწუხერი ჩუმად აფენდა,

ქვეყნად ყოფელი წარუგალის

წარმავალობას.

1980




* * *

პელიოდის გაკვესილი,
კვლავ კოლხური წამი ანთებს,
 უამთა მთებში –
მთვლემარ ქანებს:
აბანტებს¹ და ამირანტებს²,
 მალხიებს³ და
 მელანქლანებს.⁴

1967

^{1,2,3,4} – უძველესი კოლხური (ქართველური) ტომები.



* * *

(ვერლიბრი)

უცლურჯესი და უუანკარესი,
შოორ წარსულიდან მოდიოდა
ლექსის მდინარე,
მერე და მერე აამდვრიეს მისი
სათავე,
მეოცეში კი აილანძა და ამთაგორდა.
ახლა,
მის პირველ სიდიადეს
და სისადავეს,
ჩვენში კი არა,
ინდოეთში ვეძებთ თაგორთან!!!

1977

* * *

ცით ჩამოსული ნისლის ფთილები,

ქარის ხელებით იჩეჩება და

იბელება...

ერთურთს უხმობენ ყურეები და

კუნძულები.

ტალღები, როგორც დათვის ბელები,

ნაპირს ტორავენ,

მაგრამ ზემოთ ვერ

ამოდიან

და ისევ უკან მიძუნძულებენ...

1987



မတဒါရာ နာဖောရီလ စွား ၆၁၆၀၈၀၃၀၀

ဂရမျှော် လာမျို ရှာမ မာလျ ဂာတ္ထံနဲ့၊
သူမြော ပျော်ကြော် ပျော်ကြော် ပျော်ကြော်
တော်ကြော် မာမလျော်း၊

ဇာတ် ဇာတ် ဇာတ် ဇာတ် ဇာတ် ဇာတ် ဇာတ် ဇာတ်

မတာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ

နာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ

မတာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ

မတာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ နာဘုရာ

1984



* * *

დროის ქვაბში ჩარჩენილ
რძისფერ ათასწლეულებს –
კრთად დღვებ და ამრგვალებ,
მერე ზედ დაკანკალებ,
პირველ ყოვლის მარგალებს,¹
გაკრისებს² და
მაკრალებს.³

1969

^{1,2,3} – პონტოს ნაპირებზე მოსახლე უძველესი
კოლხური (ქართველური) ტომები.



ჩემი ფინაკარაი პოლხი

სხვა ზარი და სხვა რისხვაა,
როცა ნაპირს მოადგება
ქარი წუხილით და
ოხვრით.

და მგონია შავი ზღვაა, —
შორეულზე,
შორეული,
ჩემი წინაპარი კოლხი.

1962



მოვა დრო...

წმინდა გიორგი მიუძღვდა
ქართველ მხედრობას,
სადვთო ომებში იგი იყო
ჩვენი მფარველი
ყველგან: ასპინძას და ბასიანთან.
მოვა დრო ისევ, და დროშები
გორგასლიანთა,
გადახედავენ დიდგორიდან –
ქართველის მთა-ველებს.

1991

* * *

ზღვით და ოკეანით დიან
და არარას იბარებენ.

შენ კი,
როგორც ამეთვსიტოს¹
ბერძნულ მითში ეძებ თვისტომ
ფეაკებს² და
ტიბარენებს³.

1965

¹ ამეთვისტო (ბერძ.) – ნახევრად ძვირფასი ქვა,
იისფერი და ლურჯი.

^{2,3} – ძველ კოლხური (ქართველური) ტომები.



ჯიღვე პოეტი

„... მოჰქმდის ნიავი და შრიალით
არხევს ჩინარსა...“

ნ. ბარათაშვილი

უიმედობით...

სან სიყვარულით,
გადადიოდა ქამი ყირაზე.
დიდი პოეტი,
თუმც უჩინარი,
უნთებდა სანთელს –
წინანდლის ვარდს,
(არა შირაზის)
და ფიანდაზად ჩრდილს უფენდა
ფეხქვეშ ჩინარის.



* * *

ჩალურჯებოდათ ზვირთებს თვალები,

მიმოდიოდა ყეენივით ქარი

აშარი

და სანაპიროს შიშით ზარავდა.

იქვე მდგარ კლდეებს

ტანზე ეცვათ ყინვის ჯავშანი,

ყინვის მახვილი...

ყინვის ფარი და მუზარადი.

1988



ჭევონი

ყველა მოვარე აქ ჩადის,

აქ ამოდის ყველა მზე,

აქ –

კუნძულზე ლემნოსის,

და მე ვხედავ პელაზგებს¹ –

ოქმულებებით თავწაკრულს,

ლეგენდებით შემოსილს.

1967

¹ პელაზგები – მეგრელ ლაზთა წინაპრები.




* * *

ამ ცისქვეშეთში,
ვით დღე და დამე,
კვლავ ერთად ხარობს
და ლგარძლი და

იფქლი.

ეყრება საფლავს ვარდიც და ბელტიც.
უამი კი სადღაც ქარივით
მიქრის,
სიკვდილის და სიცოცხლის ეტლით.

2001



ნრთი ჭალდა

არავინ იცის,
ზღვაგულმოსული,
სანაპიროზე ჩამომჯდარ ლოდს
როგორც ედავა,
ან რატომ დუმდა ლოდი,
მისი მონ-მორჩილი?!
და მე ვიხილე ერთი ტალდა
კუდამორჩილი,
ქარს როგორ გაყვა ბნელში
უკან მოუხედავად.

1986



სული

გაქცეულს ამა სოფლიდან,
ვითა ყორანი მიჩხაოდა
 ბედი მდევარი...
მაშინ ცოდვა-ბრალს ვინდა განსჯიდა.
კუბო კი არა,
სული ქვეყნად დაუტევარი,
ჩამოასვენეს მაშინ
 განჯიდან.

1959



ზღვა

ულევს ეპარება ნადირივით,
ჩქარია,
და განა მდორეა,
ცბიერიც და თანაც აშარია
ზღვა,
თითქოს რამზეს მეორეა,*
ზვირთები –
მისი ლაშქარია.

1964

* რამზეს მეორე – (XIII ს. ჩვ. წ. აღ.)



* * *

მიღმა ათასწლეულთა,

წინაპარი კოლხები –

(სანები და ზანები)


დმერთს დიდებით მოსავდნენ,

და ისინი პირველი

იყვნენ ქრისტიანები,

ჯერაც ქრისტეს მოსვლამდე.

1964



* * *

წინაპართა სალოცავი,
კოლხთა დმერთი არჩანს

ოდო.

მე კი დრო და ჟამი მირბევს:
ბაბილონის ცასმწვდენ გოდოლს,
„მამებისგან ნაწერ
კირბებს.“*

1966

* კირბი — ტქავზე ნაწერი წიგნი.



მარადისობის ხე

ცაა —

მარადისობის ხე

და ცვიგა სიცოცხლის ნამი,

(მოკვდავნი ასე რომ ნატრობენ.)

დღის —

დედაქალაქია მზე,

და მთვარე —

დამის,

იქ ვარსკვლავები და მიცვალებულთა

სულები ბინადრობენ.

1967



შუმერულს და აქადურს

ახლაც ჩემი კოლხი პაპა,

ურთას მთიდან –

ხეთისკენ* –

მორაკრაკე ნაკადულს

ყურს უგდებს და ნათლად

ცნობს:

შუმერულს და აქადურს.

1967

* ხეთი – ანტიკური სოფელი ხობის რაიონში.



* * *

სინათლის წლების და ფერების
მოისმის მსხვრევა და

წერიალი

და შორით დამზერენ გარსკვლავთა
მწვერვალები:
ცის დახლზე შემომდგარ მთვარის
თეთრ ფიალას, —

აღსავსეს ჩასული მზის

ელვარებით.

1989



პარვაშებს და ყავიტებს

უკელას შიშთვილი* მოგელით,
გინც საქართველოს ლამაზ ცას
თავს რომ ყასიდად აფარებთ
და ჩალისფასად გაყიდეთ:
შადიმან – ანდუყაფარებს,
ბალვაშებდა და ყაყიტებს.

1995

* შიშთვილი – საბელი, თოკი.



მმინდანები

მწუხრისას სინათლის ზარებს

რეპენ და....

ეს ის ხმებია,

არყოფნის ყინულს რომ ალხობენ.

მთიები –

წმინდანებია,

ცის ტაძარში რომ სახლობენ.

1982



ვრცესპეპს შევხიზები

ელგასავით ფრთასაშლი,
ქუხილივით იზრდები,
შენ ხარ უფლის წინდავი.
კიდევ ცოტა გაძლება
და შენც როგორც წმინდანი,
ცამდე აწვდილ ტაძრების
ფრესკებს შეეხინები.

2004



გარსპგლავთ ცხენა

დამეტ ჩუმად გადასწიოა
თეთრი ღრუბლის
თეთრი ფარდა
და ცა დაემსგავსა სცენას.
აღარც თოვდა,
აღარც წვიმდა.
ცისკრისას კი ვარსკვლავები
მეტისმეტად გადამწიფდა
და დაიწყო დაბლა ცვენა.

1969



ორი სხივი

როს გაშორდა ღამე დღესთან,
თავს დამადგა ტანის რწევით –
ორი სხივის ათინათი.
ერთი მივამსგავსე ნესტანს
და მეორე კი თინათინს.

1966



ასფოთოლა

აღარ გინდა ბედი განა?!
საბერძნეთი კი არა და,
ცისქვეშეთშიც აათროლა:
კოლხურ –
„კურა – მედიანამ“¹
და მედეას ასფოთოლაბ.²

1968

¹ „კურა – მედიანა“ (ბერძ.) – მკურნალობა.

² ასფოთოლ (ბერძ.) ასფოთოლა. (მოლი) მედეას
სამკურნალო ბალახი.



ვარდების სასახლე

მიწისაკენ მიიღიგის –
მნათთა მიღიარდები,
რადგან იმათ იციან –
სამოთხეა –
ცხოვრება –
სასახლეში ვარდების.

1969



ქრისტეს ქითონი

„... მერე ასისთავმა ლაზმა ტანსაცმლის
